<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
„ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“

მუხლი 1

1. ამ კანონის მიზანია, ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, იმ ფიზიკური პირების ფულადი სახის ადმინისტრაციული სახდელისაგან - ჯარიმისგან, შესაბამისი საურავისგან გათავისუფლება, რომელთაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (სარეგისტრაციო კოდი; 020.000.000.05.001.000.010) 174-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2026 წლის 1 მარტამდე და რომელთა მიმართაც შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის სახდელის სახით შეფარდებული ჯარიმა, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის აღსრულებულია, პირს უკან დაუბრუნდება.

მუხლი 2

1. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება გულისხმობს ფიზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისა და საურავის გადახდისაგან გათავისუფლებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლება ვრცელდება ადმინისტრაციული სახდელისა და საურავის აღუსრულებელ და აღუსრულებელ ნაწილებზე.

მუხლი 3

1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილმა ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ადმინისტრაციული სახდელისა და საურავის გადახდისაგან გათავისუფლების საკითხი გადაწყვიტონ ამ კანონის შესაბამისად და განახორიელონ ამ კანონის აღსასრულებლად საჭირო ყველა ღონისძიება.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა „აღსრულების ეროვნულმა ბიურომ“ ამ კანონის საფუძველზე შეწყვიტოს მის წარმოებაში არსებული, ამ კანონის რეგულირების სფეროსთვის მიკუთვნებული საქმეების აღსრულება.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ კანონის საფუძველზე 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის აღსრულებული, ჯარიმების ფიზიკური პირებისთვის უკან დაბრუნება და შესაბამისი ღონისძიების გატარება.

3. ამ კანონის პირველი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული პირი ამ კანონის ამოქმედებისთანავე ჩაითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად.

მუხლი 4

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**